საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

2018 წლის 08 ოქტომბერი **ქ. თბილისი**

დისციპლინური საქმე №125/17

მოსამართლე -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- 2017 წლის 12 ივნისის №125 საჩივრის საფუძველზე „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-7 მუხლის შესაბამისად (2018 წლის 01 მაისამდე მოქმედი რედაქცია) საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად მომზადებული 2018 წლის 21 ივნისის №125/17 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 08 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივრებში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ -- სასამართლოს მოსამართლის -- 2017 წლის 08 ივნისის განაჩენით ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ 177 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის.

საჩივრის ავტორის განცხადებით, მოსამართლე -- მის მიმართ არსებული ზემოაღნიშნული სისხლის სამართლის საქმე განიხილა არსებითი დარღვევებით კერძოდ:

მოსამართლემ ბრალდებულის მოთხოვნის მიუხედავად არ გაასაჯაროვა მოწმე - -- გამოძიების ეტაპზე მიცემული ჩვენება, ხოლო ანალოგიურ შემთხვევაში, მაშინ როდესაც ბრალდების მხარემ

მოითხოვა მოწმე -- მიერ გამოძიების ეტაპზე მიცემული ჩვენების გასაჯაროვება სასამართლომ დააკმაყოფილა სახელმწიფო ბრალმდებლის მოთხოვნა. ამასთან, ადვოკატის კატეგორიული მოთხოვნის მიუხედავად, მოსამართლემ არ გასცა ნივთიერი მტკიცებულების ადგილზე დათვალიერების ნებართვა.

ზემოაღნიშნულის გარდა, საჩივრის ავტორი არ იზიარებს მოსამართლის მსჯელობას და შეფასებებს საქმეში წარმოდგენილ საექსპერტო დასკვნასთან დაკავშირებით.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

სისხლის სამართლის საქმეზე არსებული სხდომის ოქმების აუდიო ჩანაწერების დეტალური ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ 2017 წლის 06 თებერვლის სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაიკითხა --. მოწმის დაკითხვის პროცესში, დაცვის მხარეს არ დაუყენებია -- მიერ გამოძიების ეტაპზე მიცემული ჩვენების გასაჯაროვების შუამდგომლობა.

2017 წლის 27 თებერვლის სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაიკითხა --. დაკითხვის მიმდინარეობისას, ბრალდების მხარემ საქართველოს სსსკ 243-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, სასამართლოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა და მოითხოვა მოწმე -- მიერ გამოძიების ეტაპზე მიცემული ჩვენების გასაჯაროება. სასამართლო დააკმაყოფილა სახელმწიფო ბრალდებლის შუამდგომლობა.

-- სასამართლოს მოსამართლის -- 2017 წლის 08 ივნისის №1/585-16 განაჩენით -- ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის ,,ბ“ და 19, 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის ,,ბ“ პუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისთვის და საქართველოს სსკ 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, საბოლოო სასჯელის სახით განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 07 (შვიდი) წლის ვადით.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1-ე მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მიეცეს მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7

მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამასთან, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{10}-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

ამდენად, ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

განსახილველ შემთხვევაში საჩივრის ავტორი მიუთითებდა, რომ მისი მოთხოვნის მიუხედავად მოსამართლემ არ გაასაჯაროვა მოწმის -- გამოძიების ეტაპზე მიცემული ჩვენება. 2017 წლის 06 თებერვლის სასამართლო სხდომის აუდიო ჩანაწერის დეტალური ანალიზის შედეგად, მსგავსი ფაქტი არ გამოვლინდა. კერძოდ, არ ფიქსირდება ბრალდებულის ან მისი ადვოკატის მიერ მოწმის ჩვენების გასაჯაროების მოთხოვნის ფაქტი.

ამავე სასამართლო სხდომის ოქმის ანალიზიდან ირკვევა, რომ ბრალდებულის ადვოკატი მოწმის დაკითხვის პროცესში იყენებდა საქმეში წარმოდგენილ წერილობით მტკიცებულებებს და ციტირებდა იქ წარმოდგენილ ინფორმაციას, რისი საშუალებაც მოსამართლემ არ მისცა, ვინაიდან მოწმის დაკითხვის მომენტისთვის ხსენებული წერილობითი მტკიცებულებები გამოკვლეული არ ყოფილა.

საჩივრის ავტორის მიერ მოწმე -- მიერ გამოძიების ეტაპზე მიცემული ჩვენების გასაჯაროების ფაქტთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სსსკ 243-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ მოწმე გამოცხადდა სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე ჩვენების მისაცემად, მხარე უფლებამოსილია მოითხოვოს მისი გამოკითხვის ოქმის ან მის მიერ ამ კოდექსის 114-ე მუხლის შესაბამისად, მიცემული ჩვენების მთლიანად ან ნაწილობრივ საჯაროდ წაკითხვა, აგრეთვე ამ ჩვენების აუდიო ან ვიდეოჩანაწერის მოსმენა (დემონსტრირება). სასამართლო ვალდებულია დააკმაყოფილოს ეს მოთხოვნა.

2017 წლის 27 თებერვლის სასამართლო სხდომის ოქმის აუდიო ჩანაწერიდან ირკვევა, რომ ბრალდების მხარემ, საქართველოს სსსკ 243-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, დააყენა შუამდგომლობა -- მიერ გამოძიების ეტაპზე მიცემული ჩვენების გასაჯაროების თაობაზე, ხოლო სასამართლო აღნიშნული შუამდგომლობა დააკმაყოფილა. მოსამართლე მოცემულ შემთხვევაში მოქმედებდა საქართველოს სსსკ 243-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში და იგი ვალდებული იყო დაეკმაყოფილებინა მხარის შუამდგომლობა.

-- -- საჩივარში ასევე აღნიშნა და მოსამართლის მხრიდან დისციპლინური გადაცდომის ერთ-ერთ შემთხვევად დაასახელა ის ფაქტი, რომ ადვოკატის მოთხოვნის მიუხედავად, მოსამართლემ არ გასცა ნივთიერი მტკიცებულების ადგილზე დათვალიერების ნებართვა.

აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა აღნიშნოს, რომ საქართველოს სსსკ 185-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო განხილვა მიმდინარეობს სასამართლო სხდომის დარბაზში. შემთხვევის ან სხვა ადგილის, ნაგებობის, ტრანსპორტის ან სხვა ისეთი ობიექტის დათვალიერების მიზნით, რომლის სასამართლო სხდომის დარბაზში მიტანაც შეუძლებელია, აგრეთვე დასაკითხი პირის მძიმე ავადმყოფობის გამო ან სხვა ობიექტური მიზეზით სასამართლო განხილვა შესაძლებელია მხარეთა შუამდგომლობით ჩატარდეს სასამართლო სხდომის დარბაზის გარეთ.

ამასთან, საქართველოს სსსკ 94-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, შუამდგომლობის განხილვის შედეგად უფლებამოსილი პირი იღებს გადაწყვეტილებას მისი დაკმაყოფილების, ნაწილობრივ დაკმაყოფილების ან უარყოფის შესახებ.

ამდენად, მოსამართლე -- მოქმედებდა მისთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში და მისი მხრიდან არ იკვეთება დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენის ფაქტი.

რაც შეეხება -- მიერ საჩივარში მითითებული სხვა გარემოებებს, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს, მოსამართლის მიერ თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე მტკიცებულებათა შეფასების შედეგად, გამოტანილი განაჩენის კანონიერებასა და მის დასაბუთებულობაზე. მათ შორის, მოსამართლის მხრიდან ექსპერტიზის დასკვნის შეფასებასთან დაკავშირებით. გადაწყვეტილების ამ მხრივ შეფასება და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12}-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონის 75^{1}-ე მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2018 წლის 08 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 12 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, 75^{10}-ე მუხლის მე-5 პუნქტით და 75^{12}-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №125/17 მოსამართლე -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი